

კითხვარი თბილისის მერობის კანდიდატებისთვის

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეული არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვას, რომელზეც ჯერჯერობით არ გაქვთ გამოკვეთილი პოზიცია ან, თქვენივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი ცალკე პოლიტიკის გატარებას არ საჭიროებს.

ზოგადი ხედვა / წინასაარჩევნო პროგრამის მოკლე შეჯამება

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითად პრიორიტეტებთან დაკავშირებით?

თბილისი უნდა გახდეს მაღალგანვითარებული ევროპული ქალაქი, სადაც თითოეული თბილისელი იცხოვრებს ღირსეულად, თავს იგრძნობს დაცულად და საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების რეალიზებას შეძლებს. ჩვენი კომპლექსური და ინოვაციური გეგმის მიზანია, თბილისში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საშუალო ხელფასის გაზრდა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

ჩვენი ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ქალაქის თანამონაწილეობითი მართვა;
2. თანაბრად განვითარებული ქალაქი - ყველა უბანი თბილისის სახე;
3. თბილისი - ცოდნისა და ტექნოლოგიების ქალაქი;
4. თბილისი - კომფორტული და უსაფრთხო ქალაქი;
5. თბილისი - ევროპის ტურისტული და კულტურული ცენტრი;
6. თბილისი - გლობალური საჰაერო-სატრანზიტო ჰაბი.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (არსებობის შემთხვევაში).

გვინდა, თბილისი გახდეს შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური ცენტრი. ჩვენი მთავარი მიზანია, შევძლოთ თბილისის პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზება - როგორც სტრატეგიული მდებარეობის, ასევე, კულტურული და სოციოეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავდა ოთხწლიანი გეგმა, რომლის მთავარი ამოცანაა, ერთი მხრივ, მყისიერად უპასუხოთ თბილისში არსებულ მძიმე გამოწვევებს, მეორე მხრივ, შექმნას მყარი საფუძველი ქალაქის პოტენციალის განვითარებისთვის.

3. თქვენი აზრით, რა მთავარი პრობლემები უშლის ხელს დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას?

მთავარი პრობლემა ქალაქის ეკონომიკური განვითარების ხედვის არარსებობაა. წლების განმავლობაში თბილისი ქაოტურად ვითარდება და ინვესტიციებისთვის სასურველი გარემო ვერ

ჩამოყალიბდა. შესაბამისად, არ იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, არსებული სამუშაო ხელფასი ძალიან დაბალია და მცირე და სამუშაო ბიზნესს განვითარების საშუალება არ ეძლევა.

4. რა არის თბილისის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

თბილისის უნიკალური სტრატეგიული მდებარეობა აქვს. შესაბამისად, საჭიროა ქალაქის საჰაერო და სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება. ამისთვის აუცილებელია პირდაპირი საჰაერო კავშირები მსოფლიოს მთავარ დედაქალაქებთან და შესაბამისი სამგზავრო-სატვირთო ინფრასტრუქტურის შექმნა. ჩვენი გეგმით:

1. 2024 წლის 1 იანვრისთვის თბილისი გახდება საჰაერო ჰაბი; სამსაათიან საფრენ რადიუსში ყველა მილიონიან ქალაქთან პირდაპირი რეისი გვექნება;
2. თბილისის აეროპორტის ირგვლივ შეიქმნება სასაწყობო ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა, რაც საერთაშორისო ტვირთბრუნვას გაზრდის. ეს ინიციატივა დამატებით 5000-მდე სამუშაო ადგილს მოგვცემს.

თბილისის თითოეული უბანი თავისი ისტორიით, რელიეფით თუ განაშენიანებით უნიკალურია. თანაბრად განვითარებული ქალაქის კონცეფციის შესაბამისად, ყველა უბანი გახდება თბილისის სახე და შეიძენს უნიკალურ ფუნქციას. შესაბამისად, ადგილობრივი მაცხოვრებლების ჩართულობით, განისაზღვრება უბნების განვითარების ერთიანი სტრატეგია და თბილისი აღარ დაიყოფა პერიფერიებად და ცენტრებად. ყველა უბანს ექნება თავისი ცენტრი, სადაც დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

ამ ამოცანისთვის შევიმუშავეთ 3 ძირითადი ინიციატივა:

1. ყველა უბანში ახალი თაობის მუნიციპალური სერვისცენტრის შექმნა; ყველა საჯარო სერვისის ერთ სივრცეში გაერთიანება; კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე, ბიბლიოთეკა/მედიათეკა, ადგილზე კოვიდკონსულტაცია, ვაქცინაცია და ტესტირება, სერვისების დიგიტალიზაცია და ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე ელექტრონული მართვის სისტემა;
2. ძველი საწარმოო ცენტრებისთვის ახალი ეკონომიკური ფუნქციის შექმნა (ავჭალა, დიდუბე, ნაძალადევი და სხვ.);
3. “ხრუშჩოვკებიდან” ევროპული სტანდარტის ურბანულ სივრცეებზე გადასაცვლება.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქალაქის თანამონაწილეობითი მართვა. ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ მართვის პროცესში თბილისელების ჩართულობას. შესაბამისად, თბილისის ბიუჯეტი თბილისელებთან ერთად დაიგეგმება.

თბილისში 2022 წლის 1 იანვრიდან დაინერგება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას მოქალაქეთა მაღალ ჩართულობას.

თბილისის ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს როგორც ქალაქის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრაში, ასევე, უბნებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვასა და მათი შესრულების მონიტორინგში.

1. ახალი ტიპის ბიუჯეტირება: მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება, თავად გადაწყვიტონ, რომელ პროექტშია უმჯობესი ქალაქის ბიუჯეტიდან ინვესტირება. მოქალაქეს შეეძლება ამ პროექტების თანაინვესტორობა და აქედან შემოსავლის მიღება. ამისთვის ბიუჯეტიდან კრიპტო-აქციები/კონიები გაიცემა;
2. სამოქალაქო მონიტორინგის მექანიზმები: მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით (wiki-მონიტორინგი) გადაწყვეტილების მიღებისა და მონიტორინგის პროცესში ჩაერთვებიან. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი მიიღებენ ფინანსურ ანაზღაურებას დამრღვევზე დაკისრებული ჯარიმებიდან;
3. დაინერგება პროექტულად მართვის პრინციპები. მოხდება სერვისების დებიუროკრატიზაცია.

პარალელურად, ჩვენი საკრებულოს გუნდის ინიციატივით, თბილისის საკრებულოში იარსებებს “მოქალაქის საათი”, სადაც მოქალაქე შეძლებს საკრებულოს წევრების წინაშე საკუთარი იდეით/პრობლემით/წინადადებით წარდგომას. ამისათვის განისაზღვრება სპეციალური დრო, რათა ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მათი ხმა ქალაქის მთავარ საკანონმდებლო/სათათბირო ორგანოში გაისმას. იქვე გადაწყდება, რომელი სამსახური იზრუნებს პრობლემის მოგვარებაზე. მოქალაქეთა პრობლემები მარტივი, და არა ამჟამად არსებული - რთული ბიუროკრატიით გადაიჭრება; იდეის ან ინიციატივის შემთხვევაში, საკრებულოს წევრები იქვე იმსჯელებენ და დაგეგმვენ მისი განვრცობის, განხორციელების გზებსა და მექანიზმებს. ამ მექანიზმს გამოვიყენებთ აგრეთვე, ბიუჯეტის განხილვისას: ბიუჯეტი დაიგეგმება მოქალაქეთა ჩართულობით, ქვემოდან ზემოთ წამოსული იდეებით და არა - პირიქით. რეალური თვითმმართველობების დამოუკიდებლობამდე, რაც ჩვენი პრიორიტეტი და გრძელვადიანი გეგმაა, გვინდა, მოქალაქეთა ჩართულობით თვითმმართველობა ვაქციოთ რეალურ ბერკეტად - ადგილებზე სიტუაციის შესაცვლელად, დედაქალაქის მცხოვრებთა გასააქტიურებლად, მათი თანამონაწილეობის გასაზრდელად.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ინვესტიციების მოსაზიდად?

თბილისმა, როგორც ინოვაციებისა და ცოდნის ქალაქმა, მოქალაქეების მაღალი კომპეტენცია/კონკურენტუნარიანობა უნდა უზრუნველყოს. ასევე, ცოდნა ტევადი ბიზნესების ხელშემწყობი კლიმატის შექმნა. თბილისი გახდება ჰაბი ინოვაციური ბიზნესისთვის, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან იქნება შესაძლებელი დისტანციური სერვისების მიღება, კერძოდ, კომპანიის რეგისტრაცია, საბანკო

ანგარიშის გახსნა, იურიდიული მომსახურება, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის ბიზნესის წარმოება, საერთაშორისო IT კომპანიების წარმომადგენლობის გახსნა. ასევე, შეიქმნება:

IT ქალაქი - მაღალანაზღაურებადი ტექნოლოგიური ცენტრი:

- განლაგდება მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიული ობიექტები;
- დაწესდება სპეციალური საგადასახადო და საბაჟო შეღავათები ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესისთვის;
- მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შესაძლებელი გახდება ბიზნესის წარმოება.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარება:

- გამოიყოფა ყოველწლიური გრანტები ინოვაციური IT მეცნიერებების განვითარებისთვის;
- ყოველწლიურად გაიმართება გლობალური კრიპტო ინოვაციური ფორუმები.

[ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა](#)

7. როგორ ფიქრობთ მოქალაქეთა საბინადრო პირობების გაუმჯობესებას?

ქალაქი და საბინადრო პირობები უნდა მოერგოს ადამიანს და მის კეთილდღეობას. გამგებების აქტიურობა და დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მათთვის საბინადრო პირობების გაუმჯობესების საუკეთესო გზაა. ვგეგმავთ დეველოპერებისთვის გარკვეული პირობების შეთავაზებას და ქაოსური მშენებლობების წინააღმდეგ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რომლის მიზანია, ადამიანი გახდეს მთავარი ფასეულობა. ჩვენი მიზანია, დავიცვათ წინასწარ შეთანხმებული პირობები ქალაქის განვითარებისა და ადამიანის უსაფრთხოებისთვის ისე, რომ ინვესტორთა ინტერესები არ დაზარალდეს.

8. რა ღონისძიებებს გეგმავთ დედაქალაქში ქუჩების უკეთ დასუფთავებისთვის?

თბილისის დასუფთავების საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია:

1. შეიქმნას ღირსეული სამუშაო პირობები ამ სფეროში დასაქმებულთათვის, რაც გულისხმობს როგორც სახელფასო განაკვეთის ზრდას, ასევე, სამუშაო საათებისა და სხვა პირობების მოწესრიგებას;
2. თანამედროვე სტანდარტის ტექნიკით აღიჭურვოს შესაბამისი სამსახურები;
3. სრულფასოვნად დაინერგოს ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა.

[ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი](#)

9. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების მაქსიმალური უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის?

ჩვენი გეგმის მიხედვით, ქალაქს ექნება: 1. მოწესრიგებული და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა; 2. უსაფრთხო გზები და გადასასვლელები; და 3. საფეხმავლო ქუჩები და ველობილიკები. ასევე, აუცილებელია მუდმივი კამპანია ამ კუთხით ცნობიერების ასამაღლებლად.

10. როგორია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესების თქვენეული გეგმა?

1. თბილისის ტრამვაის ქსელის აღდგენა/გაფართოება (დიდი დილომი, ლილო, აეროპორტი);
2. თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი სწრაფი ღია მეტრო;
3. თბილისი-მცხეთის დამაკავშირებელი სწრაფი ღია მეტრო;
4. სატვირთო მატარებლების შემოვლით რკინიგზაზე გადატანა;
5. მეტროს ინფრასტრუქტურის განვითარება;
6. ავტოპარკის განახლება;
7. 2024 წლის 1 იანვარს თბილისში ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება ელექტრო.

11. რა ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ დედაქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

ჩვენი მიზანია, განვახორციელოთ ფეხით მოსიარულეზე ორიენტირებული მეტი ინფრასტრუქტურული ცვლილებები; ფეხით მოსიარულეთათვის გვექონდეს მეტი ზონა. თბილისის ინფრასტრუქტურა უნდა მოერგოს არა მხოლოდ ტრანსპორტის, არამედ, უფრო მეტად - ფეხით მოსიარულეთა ინტერესებს. ამისათვის აუცილებელია საჯარო ტრანსპორტის გამართვა ისე, რომ ადამიანს ნაკლებად სჭირდებოდეს ავტომანქანით გადაადგილება.

12. რა მექანიზმებით ფიქრობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების ხელშეწყობას?

1. შშმ პირებზე, მოხუცებსა და ბავშვებზე მორგებული ერთიანი, ქალაქის ყველა ნაწილთან ინტეგრირებული გარემოს შექმნით;
2. პარკინგის რეგულაციების გაუმჯობესებით და საპარკინგე სივრცეების მოწესრიგებით, რათა ტროტუარები არ გადაიტვირთოს მანქანებით.

13. როგორ აპირებთ უპატრონო ცხოველების საკითხის მოგვარებას?

ამ პრობლემის გადასაჭრელად დაგვეხმარება შემდეგი ნაბიჯები: 1. პოპულაციის მართვა-კასტრაცია/სტერილიზაციის პროგრამის სრულფასოვნად ამოქმედება; 2. მიკედლების ინსტიტუტის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; 3. მუნიციპალური თავმესაფრების ფუნქციონირების გაუმჯობესება.

კულტურა და განათლება

14. როგორია თქვენი ხედვა თბილისის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით?

ჩვენი გეგმით, კულტურის ტრადიციულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე ზრუნვასთან ერთად, განვახორციელებთ საერთაშორისო მნიშვნელობის ე.წ. მეგაპროექტებს. თბილისი უნდა გახდეს 4 სეზონის ქალაქი:

1. 2023 წლიდან 1-7 იანვარს ყოველწლიურად გაიმართება აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი საახალწლო ფესტივალი;
2. ყოველწლიურად ჩატარდება მსოფლიო ხალხების ეთნოკულტურული ფესტივალი;
3. ღვინის საერთაშორისო ფესტივალი;
4. ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი.

15. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ თბილისში განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად?

განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საჯარო სკოლებისა და ბაღების პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება და მმართველობითი თუ ფინანსური დეცენტრალიზაცია. შეუძლებელია განათლების მიღწევებზე საუბარი, როდესაც ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის ხელფასი საარსებო მინიმუმზე დაბალია და 220 ლარს შეადგენს. ადამიანებს, რომლებსაც ასეულობით აღსაზრდელი აბარიათ, ბოლო 8 წელიწადში ხელფასი მხოლოდ 15%-20%-ით გაეზარდათ.

ჩვენი გუნდის ინიციატივაა საბავშვო ბაღების ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლა, სადაც სახელმწიფო დაფინანსება ბავშვს მიჰყვება და მშობელი ამ თანხას საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს. ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, გაზრდის სწავლების ხარისხს, გააჩენს კონკურენციას და რაც მთავარია, აღმოფხვრის ხელმისაწვდომობისა და ადგილების დეფიციტის პრობლემას.

სკოლის დეპოლიტიზება და ხარისხზე ორიენტირება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი, პროფესიონალური სერვისების შეთავაზებით, სადაც მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები სკოლის დირექტორს პირდაპირი, საყოველთაო და გამჭვირვალე არჩევნებით ირჩევენ. ამგვარი წესით არჩეული საგანმანათლებლო ლიდერები ანგარიშვალდებულნი იქნებიან საკუთარ მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან და არა პოლიტიკურ ელიტასთან, როგორც “ზემდგომთან”, რომლის ძალაუფლების შენარჩუნება ყოველ არჩევნებზე ტვირთად აწევთ დირექტორებს.

ახალგაზრდული ცენტრები, მედიათეკები და თანამედროვე ტექნოლოგიებთან წვდომა ჩვენი პროგრამის ინტეგრირებული ნაწილია.

სკოლა არ უნდა იყოს დახშული და ჩაკეტილი ახალი იდეების მიმართ. პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება ნიშნავს მოსწავლეების დაინტერესებას სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებით და არა პარტიული ზედამხედველობით მათ კონტროლს. პოლიტიკის და სამოქალაქო განათლების სწავლება პრიორიტეტული უნდა გახდეს; სკოლა მოქალაქის აღზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რასაც სჭირდება თავისუფალი პედაგოგი. მასწავლებლები პოლიტიკური შეხედულებების გამო არ უნდა ისჯებოდნენ, უნდა იყვნენ თავისუფალნი და არც ამის საჯაროდ

გაცხადების პრობლემა არსებობდეს. სკოლამ უნდა აღზარდოს დამოუკიდებელი, პასუხისმგებლიანი მოქალაქე. ამას სჭირდება ბევრი თავისუფალი და სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების მქონე პედაგოგი.

უსაფრთხოება და კრიმინალი

16. რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

მიუხედავად იმისა, რომ კრიმინალთან ბრძოლის საპროცესო, ოპერატიული და საგამომიებო კომპონენტები ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია არ არის, კრიმინალის პრევენციის საკითხში აქტიური წვლილის შეტანას ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობით, ქუჩების შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით და ცნობიერების ამაღლების კამპანიით ვგეგმავთ.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

17. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა დედაქალაქში? რა სოციალური პროგრამები განხორციელდება?

სწორი, კონკრეტულ საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავების საფუძველი რეალური დეცენტრალიზაციაა. ქალაქის ბიუჯეტმა მხოლოდ ამგვარად დაგეგმილი სოციალური პროგრამები უნდა განახორციელოს - კონკრეტული მონიტორინგით, შედეგების გათვლით, სოციალური პრობლემების შემცირებისკენ მიმართული ხედვით. ამ პროცესში უნდა მონაწილეობდნენ მოქალაქეები.

18. რა გზებს მიმართავთ თბილისში ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გაზრდისთვის?

არსებულ პროგრამებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება მიზნობრივი მოსახლეობის მეტი ჩართულობა ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, წინამდებარე ჯირკვლისა და პროსტატის კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში. ამჟამად ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია და 8%-9%-იან ნიშნულს არ სცდება ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შემთხვევაში. კიდევ უფრო დაბალია წინამდებარე ჯირკვლისა და პროსტატის კიბოს სკრინინგის პროცენტულობა. 4 წლის განმავლობაში თბილისის მასშტაბით ამ ციფრების მინიმუმ, გაორმაგებას ვგეგმავთ.

მეორე მიმართულება თბილისში (და მთლიანად ქვეყანაში) კოვიდის მართვის გაუმჯობესებაა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას და ელექტრონული სერვისების დანერგვას. ახალი თაობის მუნიციპალურ სერვისცენტრებში ვგეგმავთ კოვიდვაქცინაციის, ტესტირების და ინფორმაციის მიწოდების სერვისების დანერგვას - კოვიდ პასპორტებს, QR კოდებს და ონლაინ რეგისტრაციას.

კიდევ ერთი ინიციატივა თბილისის ყველა მცხოვრებისთვის ჯანდაცვის ინდივიდუალური გეგმის შეთავაზებაა. თითოეულ მოქალაქეს ექნება პერსონალური ჯანდაცვის გეგმა - დაბადების

მომენტიდან (ან პროგრამაში ჩართვიდან), რაც საშუალებას მისცემს, ოჯახის ექიმის დახმარებით ჩაიტაროს ყველა სავალდებულო აცრა, გაიაროს საჭირო გასინჯვები (მათ შორის, სიმსივნის სკრინინგი), ჰქონდეს წვდომა რეცეპტით დანიშნულ წამლებზე, დაეგმოს ექიმთან ვიზიტი ან საჭირო პროცედურა მისთვის მისაღებ დროს და ადგილას.

19. რა ღონისძიებებს გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

ამ მიმართულებით ჩვენი მიზანია:

- უსახლკარო პირთა დეფინიციის კომპლექსური განსაზღვრა და მისი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან დაახლოებული განჭვრეტადობა;
- უსახლკარო პირთა მუდმივი სათანადო საცხოვრებელით ეტაპობრივად უზრუნველყოფა;
- მუდმივად განახლებადი აღრიცხვიანობის სისტემის შექმნა;
- არსებული თავშესაფრების პირობების გაუმჯობესება;
- უსახლკარობის გამომწვევი მიზეზების დადგენა და პრევენცია;
- უსახლკარო პირთა განათლების უფლების რეალიზაცია, ინდივიდუალური პროფესიული განათლება და სოციალური ინტეგრაცია.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

20. როგორია თქვენი გეგმები და ხედვა თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით?

ეტაპობრივად დავნერგავთ 5 ყველაზე ინოვაციურ გზას ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. თბილისის გახდება:

1. მზის ენერჯიაზე მომუშავე ქალაქი;
2. ჰაერის დასუფთავების თანამედროვე ტექნოლოგია - City Trees;
3. ვერტიკალური გამწვანება;
4. სახურავების გამწვანება ჯანსაღი ქალაქისთვის;
5. ვერტიკალური ბოსტნები სახურავებზე - Urban Farming: Vertical Vegetables.

21. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

ამ მიმართულებით ვგეგმავთ:

- არსებული ურბანული მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენას და ადგილობრივი სანერგე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას;
- პარკების გადასახადიდან შემოსული თანხის მწვანე სივრცეებში რეინვესტირებას;
- კონკრეტული პირობების შემუშავებას დეველოპერებისთვის, რომლებიც მშენებლობებთან ერთად მწვანე ზონებს შექმნიან.

22. რის გაკეთებას აპირებთ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

- მოწყობა გამაჯანსაღებელი ცენტრები, აუზები მუნიციპალური პროგრამებით;
- შეიქმნება პროგრამები კონკრეტული ცნობიერების ასამაღლებლად;
- კერძო სექტორის თანამონაწილეობით ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები გაიხსნება;
- სკოლებთან თანამშრომლობით ჯანსაღი ცხოვრებისთვის კონკრეტული ბიუჯეტი გამოიყოფა.

კულტურული მემკვიდრეობა

23. რა ღონისძიებებს მიმართავთ თბილისის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

“დაიცავი - აღადგინე - არ დააზიანო” - ამ მიდგომით ვიხელმძღვანელებთ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობების რესტავრაციისას.

24. რას ფიქრობთ ხელოვნების მუზეუმის შესაძლო დანგრევასთან დაკავშირებით?

დაუშვებელია ხელოვნების მუზეუმის დანგრევა. აუცილებელია როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო სპეციალისტებთან ერთად, შემუშავდეს შენობის გადარჩენისა და რეაბილიტაციის გეგმა.

სხვა საკითხები

25. 2021 წლის ივლისში განხორციელდა მასშტაბური ძალადობა ლგბტქი+ თემისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. როგორია ამ საკითხზე თქვენი, როგორც მერობის კანდიდატის პოზიცია?

2021 წლის 5 ივლისს განხორციელებული ძალადობა როგორც მედიის წარმომადგენლების, ასევე, ლგბტქი+ თემის მიმართ არის ძალიან მძიმე და მიუღებელი დანაშაული საქართველოს ყველა იმ მოქალაქისთვის, ვისთვისაც ადამიანი, მისი გამოხატვის თავისუფლება და ღირსეული ცხოვრება უმთავრესი ღირებულებაა. შესაბამისად, 5 ივლისს მყისიერად გამოვეხმაურეთ აღნიშნულ ძალადობას. სახელმწიფოს რეაგირება უნდა ყოფილიყო მკაფიო, რომელიც კონკრეტული ქმედებებით დაგვანახებდა, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ადამიანის უფლებები და თანასწორობა დაცულია, კონსტიტუცია კი - უმაღლესი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის შეკრების თავისუფლებას.

მთელი ჩემი პროფესიული საქმიანობა მიმართულია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ისეთი საზოგადოების შექმნისკენ, სადაც ყველა ადამიანის, მათ შორის, უმცირესობების უფლებები თანაბრად დაცული იქნება. მიხარია, რომ როგორც პარტია “თავისუფალი დემოკრატების” თავმჯდომარეს, შესაძლებლობა მქონდა, ხელი მომეწერა ლგბტქი+ ადამიანთა უფლებების დაცვის მემორანდუმზე, რომლის ფარგლებში პარტიები ვიღებთ ვალდებულებას, დავიცვათ მათი უფლებები და არ დავუშვათ მათ მიმართ დისკრიმინაცია.

26. მერობის შემთხვევაში, თქვენი კომპეტენციისა და პოლიტიკური როლის გათვალისწინებით, როგორ შეუწყობთ ხელს აზრის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების დაცვასა და თავისუფლებას?

ვაპირებ, განუხრელად დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შევუწყო ნებისმიერი ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას.

27. რა ღონისძიებებს გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების რეგულირებისთვის?

შემუშავდება მშენებლობის სტიმულირების გეგმა, რომელიც სპეციალურ კვლევებზე დაყრდნობით განსაზღვრავს, რა ტიპის ღონისძიებები უნდა გატარდეს - როგორც დაუსრულებელი მშენებლობების ბოლომდე მისაყვანად და მენაშენეების დასაკმაყოფილებლად, ასევე, ავარიული შენობების რეაბილიტაციისთვის.

28. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით?

ჩვენი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა და პირველ ეტაპზე, სატვირთო ნაკადების გადატანა.

29. მდინარე მტკვარი - თბილისის ორგანული ნაწილი, ამ ეტაპზე ნაკლებად ათვისებულია. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სატრანსპორტო თუ სარეკრეაციო მიზნებისთვის მისი უფრო ეფექტურად გამოყენება?

ვგეგმავთ ექსპერტების ჩართულობით სპეციალური გეგმის შემუშავებას, რომელიც ეტაპობრივად განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს მდინარე მტკვრის პოტენციალის გამოყენება - როგორც რეკრეაციული, ასევე, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.